დ ა ს კ ვ ნ ა

(ბურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების გეგმის და ქალაქ ბურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშზე)

დამგეგმავი ორგანო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი სააგენტო.

გადაწყვეტილების მიმღები ორგანო: ბურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

განაშენიანების გეგმის და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შემსრულებელი საკონსულტაციო ორგანიზაცია: შპს ,,სტუდია21“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს საქართველოს კანონის შესაბამისად (მუხლი 24), დამგეგმავი ორგანის მიერ წარდგენილი სკოპინგის განცხადება, სხვა მონაცემებთან ერთად უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გარემოზე (მათ შორის, დაცულ ტერიტორიებზე, აგრეთვე იმ ტერიტორიაზე ან/და ლანდშაფტზე, რომელსაც მინიჭებული აქვს ადგილობრივი ან/და საერთაშორისო მნიშვნელობის სტატუსი) და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების მასშტაბის შესახებ და ზოგად ინფორმაციას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ, რომელთა შესახებ წარმოდგენილ დოკუმენტებში მასალები არ არის, ან ძალიან მცირე მონაცემებია, შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნეს საბოლოო დოკუმენტის პროექტის წარმოდგენის დროს.

<u>ჰაერის დაბინძურება</u>

პროექტში აღნიშნულია, რომ განხორციელდება მდინარე ახტალისხევის და მისი კალაპოტის მოწესრიგება, ახალი სარეკრეაციო სივრცეების შექმნა მდინარის გასწვრივ, როგორც ერთიანი მწვანე დერეფანი (სარეკრეაციო ზონა ქალაქის მასშტაბში), ახალი სამანქანო და საფეხმავლო კავშირების, ხიდების მოწყობა, ველობილიკების და საფეხმავლო ბილიკების მოწყობა, პარკების ტერიტორიის მოწესრიგება და განვითარება, ბაზრის ტერიტორიის და მდინარის ნაპირის მოწესრიგება, სატრანსპორტო ჰაბის გაჩენა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების განვითარების კონცეფციის შემუშავება და ეკონომიკური განვითარების კონცეფციის შემუშავება. ეს ნამდვილად მისასალმებელია და ეჭვგარეშეა, რომ გაუმჯობესდება არსებული

მდგომარეობა, თუმცა, ეს იმ პირობებში, თუ პროექტი წარიმართება გეგმის და რეკომენდაციების გათვალისწინებით და ზიანი არ მიადგება გარემოს და მოსახლეობის ჯანმრთელობას. მითუმეტეს, რომ დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ქ.გურჯაანს არ გააჩნია სახელმძღვანელო დოკუმენტი მშენებლობის ნებართვების გაცემისთვის. აღნიშნულის არარსებობა განსაკუთრებულ გამოწვევად აისახება მის ცენტრალურ ნაწილზე (ხშირ შემთხვევაში შეუსაბამოდ დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, შეუსაბამო ნაგებობები, მოუწესრიგებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, საპარკინგე ადგილებისა და რეკრეაციული სივრცეების სიმწირე).

პროექტი მოიცავს კლიმატის ცვლილების ტენდენციების შეფასებას კახეთის რეგიონის თითოეული მუნიციპალიტეტისთვის და მის გავლენას სოფლის მეურნეობაზე. თუმცა არ არის პროექტის აქტივობების (მ.შ. სამშენებლო) და ახალი ინფრასტრუქტურის კლიმატის ცვლილებაზე შემდგომი ზეგავლენის (დადებითი, უარყოფითი) პროგნოზული შეფასება, სადაც აღწერილი იქნებოდა სავარაუდო ეფექტები და გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები. სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება. კერძოდ, არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟისა და საპროექტო ინფრასტრუქტურის მოწყობისას, ასევე, გზის რეკონსტრუქციის სამუშაოების წარმოებისას მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკების, წვის პროდუქტების, შედუღების აეროზოლების და დამაბინძურებელი ნივთიერებების გაფრქვევა. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს გეგმარებითი ერთეულის სიახლოვეს მცხოვრებ და განსაკუთრებით სამშენებლო სამუშაოებში დასაქმებულ პერსონალზე. ამ კუთხით, წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის დეტალურად მითითებული თუ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების თვალსაზრისით კონკრეტულად ამ პროექტის ფარგლებში. ვინაიდან, საპროექტო ზონაში დამატებით მძიმე სამშენებლო ტექნიკის გამოყენება და სამშენებლო სამუშაოების წარმოება (სამშენებლო ტექნიკის მიერ საწვავის წვით და ასფალტ/ბეტონის დანადგარების მუშაობით გამოწვეული გაფრქვევები, მიწის სამუშაოებით გამოწვეული მტვრის ემისიები, ასევე, მძიმე სატრანსპორტო საშუალებების გრუნტის საფარიან გზებსა და მტვრიან ზედაპირებზე მოძრაობისას გამოყოფილი მტვერი და სხვ.) მნიშვნელოვნად ზრდის მტვრის და მავნე ნივთიერებების კონცენტრაციას ჰაერში. ამდენად, აუცილებელია განისაზღვროს ის ღონისძიებები, რომელიც უნდა განხორციელდეს მტვრის მომატების და ემისიების მინიმიზაციის, მონიტორინგის და ზემოქმედების

შერბილების თვალსაზრისით, როგორიცაა, სამშენებლო მასალის გადახურვა/დანამვა/, სამშენებლო მოედნის მორწყვა, სპეციალური დამცავი საშუალებების გამოყენება, ყველა სატრანსპორტო საშუალების შემოწმება გამართულობაზე, სატვირთო ავტომობილების მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა, სამშენებლო პროცესების საჭირო სადრენაჟო სისტემებით უზრუნველყოფა, სამშენებლო ნარჩენების დროულად გატანის უზრუნველყოფა და სხვა. ასევე, დაცული უნდა იყოს სამუშაო ადგილებზე მომუშავეთა ჯანმრთელობის პირობები.

<u>ფიზიკური აქტივობა, უბედური შემთხვევები და ტრავმები</u>

საავტომობილო ტრანსპორტის ნეგატიური ზეგავლენის შესახებ (ჰაერის, ნიადაგის, წყლის დაბინძურება, ხმაური, გზებზე უსაფრთხოება და ტრავმები და სხვა) კარგად არის ცნობილი. საქართველოში, სხეულის დაზიანება სიკვდილის რიგით მეოთხე მიზეზს წარმოადგენს. ვინაიდან სატრანსპორტო ჰაბის მოწყობა იგეგმება დასახლებული ტერიტორიის სიახლოვეს, მოსალოდნელია ავტოსატრანსპორტო შემთხვევების და მასთან დაკავშირებული ტრავმების გაზრდა, ხმაურის მომატებული დონე და ტრანსპორტის ინტენსიურ მოძრაობით გამოწვეული ემისიები, რამაც შეიძლება გააუარესოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და შესაბამისად, უარყოფითად აისახოს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ასევე, აგრარულ საქმიანობაზე (ვენახის, ბაღჩეულის, ხეხილის მოსავალზე). ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მომავალში, განაშენიანების კვალდაკვალ გაიზრდება ვიზიტორთა რაოდენობა და ამ მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს და ტრავმატიზმის პრევენციას.

<u>ხელმისაწვდომობა სამედიცინო დაწესებულებებზე</u>

ახალი უბნების სივრცითი მოწყობის დაგეგმარებისას, ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტული ნაკადების ზრდის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის საკითხი, დროული და ხარისხიანი სამედიცინო დახმარების გაწევის თვალსაზრისით. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სათანადო სოციალური ინფრასტრქტურის განვითარების ნაწილში სამედიცინო დაწესებულებების (ამბულატორიული/ან სამედიცინო კაბინეტი, პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტის) ხელმისაწვდომობა.

<u>სასმელი წყლის ხარისხი, წყალმომარაგება, სანიტარია და წყალარინება</u>

წყალმომარაგება - მოსახლეობის წყალმომარაგებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილ პროექტში მოცემულია მწირი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის სასმელი წყლით მომარაგების შესახებ, რაც, ასევე, არ მოიცავს ინფორმაციას მისი გაფართოების შესაძლებლობას განაშენიანება/განვითარების ახალ ტერიტორიებზე (შესაძლო ალტერნატივების წარმოდგენით). არ არის ინფორმაცია წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული გადაწყვეტილებების შესახებ, მაგალითად, მოეწყობა თუ არა დამოუკიდებელი ავტონომიური სისტემა, რომელიც მოამარაგებს მომავალში ასაშენებელ სასტუმროებს უსაფრთხო სასმელ და სამეურნეო წყლის სათანადო რესურსით, ან შეიქმნება თუ არა ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემა კლიმატური პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით. ახალი დასახლებული ტერიტორიის გაჩენით მნიშვნელოვნად გაიზრდება მოთხოვნა წყლის რესურსებზე, მათ შორის, სასმელ წყალზე, რაც გაზრდის ასევე გარემოზე მზარდ ზეწოლას. წყალაღების ადგილის შერჩევის შემდეგ, მნიშვნელოვანია შემუშავდეს და დამტკიცდეს სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებისათვის წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონები. ასევე, მნიშვნელოვანია, იმის შეფასება, თუ რამდენად გაუძლებს დატვირთვას არსებული წყლის რესურსები გრძელვადიან პერსპექტივაში და შემოთავაზებულ იქნეს წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენების გადაწყვეტილებები. რადგანაც მოსალოდნელია ღვინის მწარმოებელი ახალი ქარხნების, გესტ-ჰაუზების, სასტუმროების, სავაჭრო მოლებისა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საბოლოო დოკუმენტში აისახოს ყველაზე რელევანტური ღონისძიებები წყალმომარაგებისა და სანიტარიის გასაუმჯობესებლად გრძელვადიან პერსპექტივაში,

<u>სანიტარული დაცვის ზონები-სდზ</u>

ახტალის სამკურნალო ტალახის საბადო მდებარეობს ქ. გურჯაანის ცენტრში. ახტალა საქართველოში ტალახით მკურნალობის ფართოდ ცნობილი ადგილია. ახტალის სამკურნალო ტალახის საბადო განლაგებულია 10-30 მ სიღრმის ელიფსური ფორმის ქვაბულში. კურორტ ახტალის სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი მომარაგება ხარისხიანი სასმელი წყლით. ახტალაში წყლის ძირითადი მომხმარებელი არის სანატორიუმი, ტალახსამკურნალო და სანატორიუმთან ახლოს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა.

დოკუმენტში კურორტის წყალმომარაგების და სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ ინფორმაცია არ არის აღწერილი, გურჯაანის მუნიციპალიტეტისა და ქ. გურჯაანის სივრცითი დაგეგმარების შემუშავების პროცესში, ძალზედ მნიშვნელოვანია ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორის დაცვა. „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს

კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ბუნებრივი სამკურნალო რესურსების თვისებების შენარჩუნება და მათი დაბინძურების, გაფუჭებისა და გამოფიტვისაგან დაცვის მიზნით, უნდა დადგინდეს სანიტარიული დაცვის ზონები, რომლებიც განსაზღვრავს საქართველოს კურორტებსა და საკურორტო ადგილებში საწარმოთა განთავსების, სამეწარმეო საქმიანობის, ბუნებრივი სამკურნალო რესურსებით სარგებლობისა და მოსახლეობის განსახლების აუცილებელ პირობებს.

კურორტის არასწორი განვითარების საფრთხის თავიდან აცილების, კურორტის ფუნქციონალურად დაგეგმვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანია გურჯაანის მუნიციპალიტეტისა და ქ. გურჯაანის სივრცითი დაგეგმარების შემუშავებას წინ უსწრებდეს სანიტარიული დაცვის ზონების პროექტის დამტკიცება და ამოქმედება. სანიტარიული დაცვის ზონების პროექტით განისაზღვრება ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დაცვისათვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებები გურჯაანის მუნიციპალიტეტსა და ქ. გურჯაანში, მათ შორის: სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრები და თითოეული ზონის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებები და შეზღუდვები. ყოველივე აღნიშნული პოზიტიურად წაადგება გურჯაანის სამომავლო განვითარების და ცნობადობის საკითხებსაც.

ასევე, სდზ-ში აღწერილ უნდა იქნეს სატრანსპორტო სისტემის დივერსიფიკაციის საკითხი (საკურორტო ზონაში ელექტრომობილებით გადაადგილება, სატრანსპორტო სქემები საჭიროებს დაზუსტებას) სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისათვის განკუთვნილი ტერიტორიების აღწერით და კომპლექსური სატრანსპორტო სქემის შემუშავების საკითხები; ამასთან, გასათვალისწინებელია მდინარე ახტალისხევის კალატოპის გამწვანების საკითხი, რომელიც მიედინება მდინარე ალაზნისკენ, ამ ეტაპზე, მდინარის სანაპირო ზოლი გადატვირთულია უსისტემოდ აშენებული სავაჭრო ნაგებობებით, რაც აბინძურებს მდინარეს.

ვინაიდან ქ.გურჯაანს არ გააჩნია დამტკიცებული ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის დოკუმენტაცია, მისი განვითარება ხდება არაგეგმიურად და უსისტემოდ, რაც სანიტარიული დაცვის ზონების არსებობას უქმნის საფრთხეს. აუცილებელია ქალაქთმშენებლობის დოკუმენტის მიღება და ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რათა არ განადგურდეს ახტალახის საკურორტო ადგილი საქართველოში.

<u>ხელმისაწვდომობა საგანმანათლებლო დაწესებულებებზე</u>

მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში გათვალისწინებულ იქნეს საგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობის საკითხები.

<u>ხმაური</u>

წარმოდგენილ პროექტში, გურჯაანის მუნიციპალიტეტისა და ქ. გურჯაანის სივრცითი დაგეგმარების ტერიტორიაზე ხმაურის დონის გაზომვა ჩატარებულია 5 წერტილში და მითითებულია კონკრეტული დრო და თარიღი, თუმცა რეკომენდირებულია ხმაურის დონის გაზომვა ჩატარდეს ცალ-ცალკე დღისა და ღამის საათებში. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ, სატრანსპორტო ხმაური დაასახელა ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, მათ შორის საგზაო მიმოსვლა, გურჯაანის მუნიციპალიტეტში სულ 31 დასახლებაა, მათ შორის ერთი ქალაქი (ქ.გურჯაანი). ქალაქს განივად კვეთს ახმეტა-თელავი-ბაკურციხის გზა, რომელიც წარმოადგენს მთავარ ღერძს მთლიანად რეგიონისთვის და მის გასწვრივ დასახლებულია მოსახლეობის 77.7% (ქ. გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის კვლევების შედეგები და კონცეფცია-დანართი #2 სატრანსპორტო ნაწილი; გვ.4). აქედან რეკომენდირებულია ჩატარდეს ქალაქ გურჯაანის ხმაურის გაზომვა, ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასება და დაიგეგმოს შემცირების ღონისძიებები საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის ,,საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ შესაბამისად. ასევე, გასათვალისწინებელია მაღალი გამავლობის ტრასების სიახლოვეს დასახლებულ პუნქტებში ხმაურდამცავი საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობა.

<u>ნარჩენების მართვა</u>

ამ საკითხთან მიმართებაში გასათვალისწინებელია ნარჩენების მართვის ერთიანი გეგმის არსებობა, რათა ნარჩენების მართვა განხორციელდეს ეფექტურად და არ დარჩეს რომელიმე ტერიტორია (სოფელი) მოცვის გარეშე. ასევე, აუცილებლად გასათვალისწინებელია პროექტის განხორციელების ორი ეტაპი: მშენელობის ეტაპი და პროექტის იმპლემენტაციის ეტაპი.

1. მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენი თვისობრივად განსხვავებული იქნება, ვინაიდან ამ დროს მოსალოდნელია სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული ნარჩენის და ინერტული ნარჩენის წარმოქმნა, რომელსაც სჭირდება ამ ტიპის ნარჩენებისადმი წაყენებული ვალდებულებების შესრულება.

2.პროექტის იმპლემენტაციის ეტაპზე მოსალოდნელია სამკურნალო მანიპულაციებთან დაკავშირებული ნარჩენების წარმოქმნა (მ. შ. ნახმარი წყლები), ასე რომ მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილებების შემოთავაზება ამ ტიპის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით და ასევე, უნდა იქნეს ასახული მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმაში.
ერთ-ერთი ძირითადი ასპექტი, რომელიც საჭიროებს სწორ და რაციონალურ მიდგომას და მკაცრ კონტროლს, წარმოადგენს მდინარის სანაპიროებთან თვითნებურად დაყრილი ნარჩენებისაგან ტერიტორიის გაწმენდა და შემდგომ მართვა. ამ მიზნით, პროექტის განხორციელების ეტაპზე, აუცილებელია შემუშავდეს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც სრულად შეძლებს მდინარეების ხევების დაცვას მათი მყარი ნარჩენებით დაბინძურებისაგან და ასევე, გაუწმენდავი საკანალიზაციო/ნახმარი წყლების მოხვედრას.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის და ცენტრალური ნაწილის განვითარება მოიცავს როგორც ტერიტორიის ტურისტულ-ატრაქციული, ასევე სამკურნალო-ბალნეოლოგიური მიზნებით განვითარებას, რაც, გამოიწვევს ტურისტული ნაკადების გაზრდას ამიტომ, მნიშვნელოვანია ნარჩენების მართვას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, ვინაიდან ერთის მხრივ გაიზრდება მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა, მეორეს მხრივ წარმოიქმნება/გაიზრდება სამკურნალო საქმიანობასთან დაკავშირებული ნარჩენები (მ. შ. სამედიცინო ნარჩენები და ბალნეოლოგიური მკურნალობის შედეგად წარმოქმნილი ნახმარი წყლები/ტალახი). ნარჩენების მართვის გეგმა უნდა შეიცავდეს შესაბამის სქემებს ამ ტიპის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით.

<u>ელექტრომაგნიტური ველის გამოსხივება</u>
გურჯაანში დაგეგმილია ტექნოლოგიური პარკის მშენებლობა, რაც თავის მხრივ, გულისხმობს შესაბამის ინფრასტრუქტურის მოწყობას, ელექტროგადამცემი ხაზების/მოწყობილობების და სატელიტური სიმძლავრეების გაზრდას. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, ამ ტიპის მშენებლობების განხორციელება კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვით. ასეთი ტიპის მშენებლობები უნდა განხორციელდეს მოსახლეობისგან სათანადო დაშორებით, ანძები/მოწყობილობები უნდა იყოს სათანადო უსაფრთოების ზომების დაცვით მოწყობილი ადვილად მისაწვდომობის შეზღუდვის ჩათვლით.
წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ალტერნატიული ენერგიის წყაროების (მზის და ქარის) გამოყენებას, რაც ურბანული განვითარების თანამედროვე მეტად ეფექტურ მიდგომებს წარმოადგენს. მზის ენერგიის გამოყენება ითვლება უსაფრთხოდ

და ადამიანის ჯანმრთელობაზე არ აქვს რაიმე სახის უარყოფითი გავლენა, თუმცა ქარის ენერგიის გამოყენებისას, გასათვალისწინებელია ხმაურის მომეტებული დონე, რაც ჯანმრთელობის ისეთ უარყოფით ეფექტებს იწვევს, როგორიცაა სტრესი და ძილის მოშლა. ასეთი ტიპის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, ქარის ენერგიის გამოყენებისას, გასათვალისწინებელია მოწყობილობების დამონტაჟება მოსახლეობისგან უსაფრთხო მანძილის დაცვით.

<u>კლიმატის ცვლილება, ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერგია</u>

პროექტში არასათანადოდაა მოწოდებული თუ რამდენად შეუწყობს ხელს დაგეგმილი ღონისძიებები ატმოსფეროში სათბურის გაზების ემისიის შემცირების ფაქტორს, როგორც კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ მიმართული გლობალური ქმედების ნაწილი. ასევე, არ არის ნათლად განსაზღვრული კლიმატური ცვლილებების შედეგად გამოწვეული მოვლენების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, რომელშიც გაწერილი უნდა იყოს სავარაუდო ხარჯი და სამუშაოთა მოცულობა. ეს შეეხება: კლიმატის ცვლილების პირობებში ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედების პრევენციას, შემცირებას და მართვას (გვალვა, სეტყვა და სხვ.); კლიმატის ცვლილების ზემოქმედებების ზოგად შეფასებას ტურიზმზე (კლიმატგონივრული ტურიზმის შესაძლებლობების შეფასება), კლიმატის ცვლილებებზე რეაგირებას და სხვა. ასევე, კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციას. ყოველივე ზემოაღნიშნული მოითხოვს დეტალიზაციას. ამასთან, დოკუმენტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ბუნებრივი კატასტროფების დროს სასმელი წყლის სარეზერვო მარაგების შესახებ. ასევე, საჭიროა დეტალური გეგმები, თუ როგორ მოხდება ენერგოეფექტურობის პრინციპების დანერგვა საბინაო სექტორში და სხვა შენობა-ნაგებობებში, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს მშენებლობის პროცესში, განსაკუთრებით, ეს შეეხება როგორც ტურიზმის სექტორს, ასევე ადგილობრივ მოსახლეობას. როგორ და რა რესურსებით მოხდება ენერგიის ალტერნატიული („ეკოლოგიური“) წყაროების (განსაკუთრებით, მზის) ფართოდ გამოყენება საზოგადოებრივი და კერძო საკუთრებაში არსებული შენობებისთვის (შინამეურნეობებში); როგორ იქნება რეალიზებული ენერგოდამზოგავი მშენებლობები და რა მასშტაბით და რა რესურსებით მოხდება განახლებადი ენერგიის გამოყენება.

<u>დასკვნა:</u>

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტის წარმოდგენის დროს, რეკომენდებულია გათვალისწინებულ იქნეს ზემოაღნიშნული შენიშვნები გარემოს რისკ-ფაქტორების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესახებ, რომლებიც

პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენს მოსახლეობის, ასევე საზოგადოებრივ ჯანმრთლობაზე. კერძოდ, ეს ფაქტორებია:

- ჯანსაღი ცხოვრების წესის უზრუნველსაყოფად ფიზიკური აქტივობის ხელშემწყობი გარემოს შექმნა და მწვანე ტერიტორიების შენარჩუნება/განვითარება;
- სოციალური დაცულობა (უსაფრთხო საფეხმავალო გადასასვლელი, დაბალი მოძრაობის სიჩქარე საცხოვრებელი ადგილების მიმდებარედ, ხმაურის შემცირება, ქუჩის განათება);
- საცხოვრებელ შენობებში ადამიანის ჯანმრთელობისათვის ხელშემწყობი გარემოს უზრუნველყოფა (შენობების ორიენტაცია მზის პირდაპირი სხივების შესაბამისად და ა.შ.);
- სამუშაო და განათლება, საზოგადოებრივი მნიშნელობის ობიექტებზე (აფთიაქი, მაღაზიები, ბანკები და ა.შ.) ხელმისაწვდომობა და წვდომა;
- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ზოგადი სურათი (ჰაერის დაბინძურების წყაროებში, მ.შ. საგზაო ტრანსპორტი, მწვანე ტერიტორიების განვითარება, ხმაურის შემცირების ღონისძიებების განხორციელება);
- მუნიციპალიტეტში და ქ. გურჯაანში უსაფრთხო სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა, და ჩამდინარე წყლების მართვა;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების აღწერა და გავლენის მნიშვნელობის შეფასება, რისკ-ფაქტორების ზემოქმედებით პოტენციურად დაზარალებული და დაბინძურებული ტერიტორიების და უბნების იდენტიფიცირება;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეებისთვის ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად საჭირო ღონისძიებების მაქსიმალური გათვალისწინება;
- კლიმატის ზემოქმედების შედეგად შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების დაგეგმვა და გათვალისწინება.

პატივისცემით,

სსიპ -ლ.საყვარელიძის სახელობის
დაავადებათა კონტროლისა და საზოგა-
დოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული
ცენტრის გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი თამარ გაბუნია